

## ქალური ენისა და თვითგამოხატვის პრობლემები ინგებორგ ბახმანისა და ლია სტურუას პოეტურ ტექსტებში<sup>1</sup>

### თეორიული ჩარჩო

ლოგოცენტრიზმი ანტიკურ ეპოქაში აღმოცენდა, თუმცა აპოთეოზს მიაღწია განმანათლებლობის ეპოქაში. არისტოტელე თავის ნაშრომში *ორგანონი*, რომელშიც პირველად გვხვდება ტერმინი ლოგიკა და ის მსჯელობასთან არის დაკავშირებული, აცხადებს, რომ ფორმალური ლოგიკის საშუალებით შესაძლებელია რეალობის წვდომა/დაუფლება. სწორედ ეს მოსაზრება აისახა დასავლური ფილოსოფიის ვარაუდში რეალობის სტრუქტურისა და სააზროვნო სტრუქტურის იდენტობის შესახებ, რასაც პოსტსტრუქტურალიზმში „ლოგოცენტრული ილუზია“ ეწოდა (ჟაკ დერიდა). განმანათლებლობაში ეს ილუზია კულმინაციას აღწევს ავტონომიური სუბიექტის პროექტით: *cogito ergo sum* (ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ). დეკარტის ეს მოსაზრება აზროვნების აქტით განსაზღვრავს არსებობას, აზროვნებით „ბატონი ხდები საკუთარ სახლში“ (Weber 1994: 13), რაც იმას ნიშნავს, რომ სუბიექტი საკუთარ ფიქრებს, ენობრივ გამოთქმებს და ქმედებებს აკონტროლებს.

ლოგოცენტრული ილუზიის მიხედვით, ენა რეალობას მყისიერად ასახავს, კავშირი რელობასა და ენას შორის მიმეტურია და ენა წინასწარმოცემული რეალობის ილუსტრაციაა. ამ მოსაზრების საპირწონედ ფერდინანდ დე სოსიური ენის ავტონომიურობაზე ამახვილებს ყურადღებას, ენა მისთვის არის „თვითნებური“ ნიშანი (არ არსებობს ობიექტური მიზეზი იმისა, თუ რატომ აღინიშნება რომელიმე ცნება კონკრეტულ ბგერათა შეთანხმებით), რომელიც თავის თავში აერთიანებს აღმნიშვნელს (სიგნიფიკანტი – ბგერა) და აღსანიშნს (სიგნიფიკატი – ცნება, მნიშვნელობა, რომელზეც ბგერა არის მიმული). სიგნიფიკანტი და სიგნიფიკატი ერთმანეთთან განუყოფლად არიან დაკავშირებული, აღნიშნულ კავშირში კი სიგნიფიკანტებს სიგნიფიკატების „მსახურების“ ფუნქცია აქვთ. სიგნიფიკატი იმისათვის წარმოიქმნება, რომ მნიშვნელობის ტრანსპორტირება შეძლოს. სოსიურის ამ მოსაზრებას ლოგოცენტრული აზროვნების ნარჩენად მიიჩნევს პოსტსტრუქტურალიზმი და სოსიურის აქსიომის რადიკალიზაციას სიგნიფიკანტების ავტონომიურობის გამოცხადებით აღწევს.

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (PHDF-18-2163, „ქალური ნარატივის თავისებურებები XX საუკუნის მეორე ნახევრის გერმანულენოვანსა და ქართულ პოეზიაში“).

თუ სტრუქტურალისტები იკვლევდნენ იმ განსხვავებულობის პროცესებს, რომლებზეც დიქოტომიები (კაცი/ქალი, ბუნება/კულტურა, გონება/სიგიჟე, ენა/სხეული...) იგება, რომლებშიც ერთი ყოველთვის შევიწროებულია მეორის მიერ და, შესაბამისად, კულტურები და მნიშვნელობები იქმნება, პოსტსტრუქტურალისტები რეპრესიას ან არ ამჩნევდნენ, ან ბუნებრივად მიანჩნდათ. პოსტსტრუქტურალისტები დერიდას დეკონსტრუქციას, როგორც ინსტრუმენტს, მიმართავდნენ იმისათვის, რომ არსი, მნიშვნელობა და რეალობა კრიტიკულად გაეანალიზებინათ, თუმცა, პოსტსტრუქტურალისტების მიხედვით, სუბიექტი ენისა და ნიშანთა წესრიგში თავისუფალი არ არის (თვითონ არ ქმნის ამ წესრიგს). საყოველთაო წესრიგში *texte general* (Derrida) წარმოიქმნება თავისებურებები (მახასიათებლები), რომლებიც დისკურსის კონტროლს აღარ ემორჩილება. ეს შეიძლება იყოს წარმოდგენა, განსხვავებულობა ან ხუმრობა. დერიდა ბინარულ ოპოზიციებს აღწერს არა როგორც ორი ტერმინის კონფრონტაციას, არამედ იერარქიას და სუბორდინაციას. ბინარულ ოპოზიციაში – სული/სხეული არ აერთიანებს ერთმანეთთან ორ სხვადასხვა ელემენტს, არამედ მიგვიითითებს „იგივეობრივზე“ (a same), მაგრამ არა იდენტურზე, შედეგად წერა არის ხილული, მგრძნობიარე მეხსიერება (*mnème*). ნაწერი მოგვიანებით იქცევა სულის, მოგონებებისა და ჭეშმარიტების მტკივნეულ და გამაბრუებელ უხილავ ნაწილად. მართალია, საწამლავი აზიანებს და აბრუებს სხეულს, მაგრამ ის შემდეგ ეხმარება სულს – ათავისუფლებს სხეულისაგან და მასში აღვიძებს ესენციას/ არსს (*eidós*) (Derrida 1981: 126-127). დერიდას მიხედვით: „The Pharmakon is the movement the locus and the play: (the production of) difference. It is the difference of difference. It holds in reserve, in its undecided shadow and vigil, the opposites and differends that the process of discrimination will come to carve out (Derrida 1981: 127).<sup>1</sup>

ქალური წერის მახასიათებლების დასადგენად და გასაანალიზებლად საინტერესოა ჟაკ დერიდას დეკონსტრუქციული თეორია, რომელიც ყურადღებას ნიშანთა ცვალებადობაზე ამახვილებს. ჟაკ დერიდასათვის ნაწერი ნათქვამ სიტყვასთან შედარებით პრივილეგირებულია. ნაწერი უძველესი გამობატვის ფორმაა. ნაწერს არ შეუძლია ლაპარაკი, ამიტომ ის ინტერპრეტაციას ექვემდებარება და კონტექსტის მორგებით/შეცვლით მნიშვნელობები წინ წამოიწევა. ერთი და იგივე ტექსტი სხვადასხვა კონტექსტში იგივე არ არის. ენა, როგორც ნაწერი, ყოველთვის რეკონტექსტუალიზებადი. დერიდას მიხედვით, ენობრივი ნიშანი მნიშვნელობას სხვა ნიშნისაგან „განსხვავებულობით“ იძენს. თავდაპირველად ნიშნის მნიშვნელობა არასოდეს არ არის მოცემული, შემდეგი მცდელობით შეგვიძლია ნიშნის მნიშვნელობა დავადგინოთ, თუმცა ერთი ნიშანი, შესაძლოა, სხვადასხვა კონტექსტში იყოს გამოყენებული

1 „ფარმაკონი – ეს არის მოძრაობა, ლოკუსი და თამაში: განსხვავება (წარმოქმნა განსხვავებისა). ეს არის ცვლილება ცვლილებისა. ის ინახავს თავის მარაგში, თავის მერყევ ჩრდილსა და სიფხიზლეში, იმ წინააღმდეგობებსა და განსხვავებებს რომელსაც გამოკვეთს დისკრიმინაციის პროცესი“ (თარგმანი ს.პ.).

და არცერთ კონტექსტს იდენტური მნიშვნელობა არ ჰქონდეს, ამიტომ მსჯელობს დერიდა ნიშანთა დაუსრულებელ თამაშზე, რომელსაც არ აქვს ორგანიზებული ცენტრი (Köppe, Winko 2008:115), შესაბამისად, დეკონსტრუქციული თეორია ნიშანთა მნიშვნელობის შესახებ ანტიესენციალისტურია, რადგან ის სადაოდ აცხადებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ცნებების ზუსტი განმარტება შესაძლებელია, სამყაროს ენობრივი ნიშნების საშუალებით „ბუნებრივად“ ასახვაც სადაოა დეკონსტრუქციული მოდელის მიხედვით.

უკ ლაკანისთვის კი ენა არის აზროვნების ინსტრუმენტი საკუთარი გამოცდილებების გამოსახატავად, მეტიც, აზროვნება და გამოცდილება სწორედ ენაში ვლინდება. ამ მოსაზრებით ნადგურდება სუბიექტის მთლიანობის შესახებ მოსაზრება და იგი (სუბიექტი) უკვე გახლეჩილად/ დეცენტრირებულად განისაზღვრება (Weber 1994: 14-15), თუმცა აღსანიშნავია ის, რომ პოსტსტრუქტურალისტებამდე ზიგმუნდ ფროიდი დაამსხვრია შეხედულება „ერთიანი სუბიექტის“ შესახებ არაცნობიერის ბნელი სამყაროს მისწრაფებების წარმოჩენით და ლაკანი ფროიდის შეხედულებათა რეკონსტრუქციას ფსიქოანალიზის ლინგვისტურ ქრილში განიხილავს. ადამიანი იბადება უმწეო არსებად და კიდევ კარგა ხანს რჩება ამ მდგომარეობის გამო დედასთან სიმბიოზურად დაკავშირებული. ლაკანი ამ კავშირის (ერთობის) გამოსახატავად იყენებს ცნებას „წარმოსახვითი“. წარმოსახვითი პერიოდი მოიცავს მთელ წინაენობრივ და პრეოიდიპალურ ფაზას, რომლისთვისაც დამახასიათებელია სურვილების პირდაპირი დაკმაყოფილება. ამ კვაზისამოთხისებურ ფაზაში ბავშვისთვის ჯერ კიდევ უცნობია დედისა და საკუთარ სხეულს შორის ზღვარი, მესა და შენს (გარე სამყარო) შორის განსხვავება. ამ პერიოდში ყველაფერი, რაც გარე სამყაროს შესახებ იცის ბავშვმა, ეს მხოლოდ დედის სხეულია. „სარკის სტადიით“ იწყება საკუთარი თავის შეცნობის პროცესი, რომელსაც ლაკანი იდენტიფიკაციას უწოდებს: „Man kann das Spiegelstadium als seine Identifikation verstehen“ (Schriften 1.4)<sup>1</sup>.

ლაკანისეული მოდელის მიხედვით, სიმბოლურ წესრიგში გადანაცვლება არა საკუთარი ნებით, არამედ იძულებით ხორციელდება, რაც მამასთან არის დაკავშირებული. მამა ბავშვს აკრძალული ვნების (დედის მიმართ) სანაცვლოდ ენას სთავაზობს. მამა სუბიექტს ენის საშუალებით ბადებს. ეს საზოგადოებრივი დაბადების ტოლფასია, დედის შემთხვევაში კი ფიზიკურ დაბადებასთან გვაქვს საქმე. ცხადია, მამაში ლაკანი „რეალურ“ მამას არ მოიაზრებს, ის „სიმბოლურ“ მამას გულისხმობს, რომელიც „არასთან“ ასოცირდება. ინცესტის აკრძალვა არის პირველადი ტაბუ საზოგადოებაში. ლაკანის მიხედვით, „არაცნობიერი ენის მსგავსად არის სტრუქტურირებული“ (Weber 1994: 17).

ცნობიერი და არაცნობიერი პირველადი შევიწროების (სიმბოლურ წესრიგში გადასვლა) შედეგად წარმოიქმნება. თუ არაცნობიერი ისეა სტრუქ-

1 „სარკის სტადია შესაძლებელია გავიგოთ, როგორც იდენტიფიკაცია“ (თარგმანი ს.პ)

ტურირებული, როგორც ენა, მაშინ მისი წაკითხვა, ტექსტის მსგავსად, შესაძლებელია. ლაკანისათვის მეტაფორა და მეტონიმი არის მთავარი გასაღები ენობრივი და არაცნობიერი ტექსტებისათვის, რადგან მათი დახმარებით მნიშვნელობები ტექსტში წინ არის წამოწეული.

ლაკანი პროვოკაციული განცხადებით: “La femme n’existe pas” (ქალი არ არსებობს), ქალის ადგილს სიმბოლურ წესრიგში ვერ ხედავს, ქალი მოიაზრება წინარეენობრივ და წინარესაზოგადობრივ წარმოსახვაში, სადაც ის დედასთან არის იდენტიფიცირებული (Weber 1994: 20). ქალური არის დედობრივი, რომელიც მამაკაცურ კულტურას მსხვერპლად შეეწირა. ლაკანი ქალურს მიაწერს ვნებას (jouissance), რომელიც მამაკაცურ წესრიგს საფრთხეს უქმნის, რადგან ის მხოლოდ თეორიულად არის შემოსაზრდვრული, პრაქტიკულად კი არაცნობიერშია და იქიდან იჭრება სიმბოლურ დისკურსში, აჯადოებს მამაკაცს, რომელშიც აღვიძებს მოგონებას წარმოსახვით ვნებაზე.

შიზოფრენიით დაავადებულ ადამიანებთან მუშაობისას ლუსი ირიგარემ შენიშნა, რომ კაცები შეშლილობის მდგომარეობაშიც ლაპარაკის უნარს არ კარგავენ მაშინ, როდესაც ქალები მუნჯდებიან და საკუთარ ტკივილებს სხეულებრივ სიმპტომებში ინსცენირებენ. ამ დაკვირვების შედეგად ის ასკვნის, რომ ქალები თავიანთ სურვილებს გაბატონებულ დისკურსში ვერ ამჟღავნებენ და ამიტომ მსჯელობს ფემინისტი ქალურობის ენობრივ „დეენილობაზე“.

ფემინისტური ლიტერატურათმცოდნეობისთვის მნიშვნელოვანია ლუსი ირიგარეის დისერტაცია *Speculum de l’autre femme* (სხვა სქესის სარკე), რომელშიც ის არამარტო რევიზიას მიმართავს მთლიანი დასავლური ფილოსოფიის ისტორიისა, არამედ ცდილობს, სხვა წერა „ფალოსური: დისკურსის მიღმა განახორციელოს (Lindhoff 2000: 119). ფროიდის თეორიის მიხედვით, ქალი „კასტრაციით“ არის დეფინირებული და ამიტომ ნაკლებ კაცად არის წარმოჩენილი, რაც ირიგარეის აძლევს იმის საფუძველს, რომ თქვას: არსებობს რეალურად არა ორი, არამედ ერთი სქესი-მამაკაცური (Lindhoff 2000: 119). ყოვლისმომცველ პატრიარქალურ წესრიგში ქალს არ აქვს თავისი ადგილი, რომელსაც საკუთარ იდენტობას დააფუძნებს, შედეგად მას ისლა რჩება, საკუთარი ადგილის რეკონსტრუქცია მამაკაცური მახასიათებლების „გადამუშავებით“ მოახერხოს.

ირიგარეი სინტაქსს გამიზნულად არღვევს, რაც მიმართულია არა ენის განადგურებისაკენ, არამედ მისი ტრანსფორმაციისკენ, „ორმაგ ხედვაზე“, რის შედეგადაც განსაზღვრულ, ნათელ მნიშვნელობას ბუნდოვანიც ახლავს. ირიგარეის მიხედვით, ქალი თავის არაცნობიერთან, წარმოსახვასა და სექსუალობასთან გაუცხოებულია და მათზე ხელი არ მიუწვდება. ქალს საზოგადებაში მამაკაცური სექსუალობის, წარმოსახვისა და არაცნობიერის შეთვისების დავალება აქვს მცემული (Irigary 1980: 81)

დასავლური თეორიის დისკურსებში აღწერილია სხეულის, სქესის, დაბადებისა და სიკვდილის ელემენტარული სურათები, ასევე აღწერილია სიმ-

ბოლურ წესრიგში შევიწროებული „წარმოსახვითის“ ნაკვალევი და მოცემულია იერარქიულ ღირებულებათა სისტემა: მყარი-თხევადი, ერთი-ბევრი, მსგავსი-განსხვავებული. ამ სისტემაში დამორჩილებული ყოველთვის ქალთან არის დაკავშირებული. ირიგარეი ცდილობს, გამყარებული სამყაროს სურათების აღმოჩენასა და დეკონსტრუქციას. მისი სტრატეგია იერარქიის შემობრუნებაა იმისათვის, რომ ქალს საკუთარი ღირებულება მიენიჭოს, საბოლოო მიზანი კი იერარქიის დაძლევა და ქალისთვის სუბიექტის სტატუსის მინიჭებაა.

ელენ სიქსუც მსჯელობს ქალების ხვედრზე პატრიარქალურ სამყაროში, გამოსავლად კი ქალების მამაკაცის ჩრდილიდან გამოსვლასა და იმ დუმილის დარღვევას ასახელებს, რომელიც მათ პატრიარქალურ წესრიგში მიუსაჯეს; წერით, წარმოსახვის ენის აღმოჩენით საკუთარი თავი უნდა იპოვონ ქალებმა. სიკვდილის მელოდიის ნაცვლად, რომელიც სიმბოლური წესრიგის თანმდევი მელოდიაა, ჰელენ სიქსუ ქალური წერით ცხოვრების სიმღერაზე/ დედის სიმღერის მღერაზე მსჯელობს და იქ, სადაც მამის წესრიგია (სიმბოლური) გაბატონებული, დედის წარმოსახვის წესრიგი უნდა იყოს. ფემინისტის თვალთახედვით, ქალებმა პრეოდიპალურ წარმოსახვაში ფემინურ ენას უნდა მიაცურადონ და მას (ფემინურ ენას) კულტურულ-რევოლუციური ძალა მისცენ: „A feminine text cannot fail to be more than subversive. It is volcanic; as it is written, it brings about an upheaval of the old property crust, carrier of masculine investments“<sup>1</sup> (Cixous 1975: 888).

თეორეტიკოსისთვის ქალური წერა (*écriture féminine*) ქალურ-დედობრივი სხეულის სიმღერას მღერის, რადგან ქალად ყოფნა ნიშნავს სხეულად ყოფნას: „A woman is never far from “mother“<sup>2</sup> (Cixous 1975: 881). სხეულით წერა ნიშნავს საშვილოსნოდან ტექსტის წერას-ტექსტი შვა, როგორც შვილი დიდი ტკივილებითა და სრული, დაუსრულებელი სიყვარულით. სიყვარულის პირველი გამოხატულება არის იავნანა, რომელიც „დედის რძით დაწერილია“ (Cixous 1975: 884) და ინახავს ქალურ კავშირს სიმღერასთან, ის ქალური ხმის გამოცხილია. წერით ამჟღავნებს ქალი ტექსტში თავს და სწორედ ტექსტშივე პოულობს საკუთარ იდენტობას – *your seeking text* (შენი მაძიებელი ტექსტი) (Cixous 1975: 889) და იქცევა „ახალ ქალად“, რომელიც დუმილს არღვევს, მისი სხეულებრიობით უსაზღვრო კოსმიური ლიბიდო ტკბება. უმეტესად მამაკაცები ცდილობენ ასობგერებს მნიშვნელობები მიანიჭონ, ქალები კი ქალური სხეულების რიტმებს ტექსტებში აღწერენ, პირველად ააქტიურებენ ტექსტუალურ არაცნობიერს – რიტმებს, ენის მელოდიას, ასობგერების მუსიკალურობას. ქალური ტექსტები ხმებიდან იქმნება ხმებისთვისვე და არის „ყურის ტექსტები“ ნაცვლად „თვალის ტექსტებისა“ (მამაკაცური ტექსტები). მამაკაცურ ტე-

1 „ქალური ტექსტი შეუძლებელია იყოს უფრო გამანადგურებელი. ის ვულკანია; არის რა დაწერილი, ის არყვეს ძველ თვისობრივ ზედაპირს, მამაკაცური ინვესტიციების მატარებელს“ (თარგმანი ს.პ).

2 „ქალი არასდროს განეშორება „დედას“ (თარგმანი ს.პ)

ქსტებს სიქსუ „სიტყვების მავზოლეუმს“ უწოდებს, ხოლო ქალურ ტექსტებს – „სიყვარულის ტექსტებს“. ქალური ტექსტები მეტაფორულ-მეტონიმურია. ისინი თამაშობენ სიტყვებით, ჟღერადობით, რითაც მნიშვნელობები იცვლება, რითაც რეციფიენტები იქ მიჰყავთ, საიდანაც ისინი წარმოიშვა: არაცნობიერი ფანტაზია, გრძნობა. ამით ავტორი აღარ იქცევა ტექსტის ერთადერთ „მფლობელად“ და არც „ყოვლისმცოდნე ავტორად“, არც პლაგიატია ტექსტი (Weber 1994:31).

იულია კრისტევა თავის თეორიებში იყენებს ლაკანის გახლეჩილი სუბიექტის კონცეპტს და მსჯელობს იმის შესახებ, რომ ენაში შესაძლებელია შემდეგი ორი კომპონენტის – სემიოტიკურისა და სიმბოლურის – თანადროულად არსებობა, რომელთაგან სემიოტიკურს კრისტევა უკავშირებს ხშირად ქალურს, ხოლო სიმბოლურს – მამაკაცურს. კრისტევას მიხედვით, სანამ ბავშვი სიმბოლურ წესრიგში გადაინაცვლებს, მას ხმის, ჟღერადობის, ფერის, რიტმისა და სხეულის გამოცდილება აქვს, თუმცა ეს ელემენტები არ არის სტრუქტურული და სიმბოლურ წესრიგში გადაინაცვლების შემდეგ (ოიდიპოსის ფაზაში) გრამატიკის, სინტაქსისა და საზოგადოებრივი წესები ერთმანეთს უკავშირდება და გამოთქმას მნიშვნელობა ეძლევა (Bürgmann 1989: 408-409). იულია კრისტევასათვის მნიშვნელოვანია ენაში იმ სტრუქტურების წარმოშობის პროცესი, რომლებიც ტექსტებს სპეციფიკურ არსს ანიჭებს ან არსის გარეშე ტოვებს.

იულია კრისტევა როსუმ გუიონთან (Rossum-Guyon) ინტერვიუში ეჭვს გამოთქვამს იმის შესახებ, თუ რამდენად არსებობს ტექსტები, რომლებიც მხოლოდ ქალებმა შეიძლება დანერონ: “Wenn es wahr ist, dass das Unbewusste die Negation und die Zeit ignoriert.. dann würde ich sagen, dass die schreibweise das Geschlecht ignoriert“ (თუ ეს სიმართლეა, რომ არაცნობიერი უარყოფასა და დროს იგნორირებს, მაშინ შემიძლია ვთქვა, რომ წერის ხერხები სქესსაც იგნორირებს) (Bürgmann 1989:409). იულია კრისტევას მიხედვით, მამაკაცურ და ქალურ არაცნობიერს არა აქვთ განსხვავებული სტრუქტურა და სჯერა, რომ ხელოვნების ნიმუშები სემიოტიკურისა და სიმბოლურის ლიბიდოზური პოლუსების ურთიერთკავშირის შედეგია. ქალებისათვის, მკვლევრის მიხედვით, სიმბოლურ წესრიგში იდენტობის მოპოვება მეტად რთულია, რადგან მის მოსაპოვებლად ქალები ან უერთდებიან პატრიარქალურ სამყაროს ან მის საწინააღმდეგოდ მოქმედებენ, როგორც რადიკალები (Kristeva 1986:156).

### ლირიკული ტექსტების ანალიზი

ავსტრიელი გერმანულენოვანი პოეტის ინგებორგ ბახმანის ლექსში: „სიყვარულო, გამანდე!“ (Erklär mir, Liebe!) ნაჩვენებია ლირიკული მეს შინაგანი ტრანსფორმაცია, ის, თუ როგორ ინაცვლებს ის რუტინული, სიმბოლური სამყაროდან წარმოსახვითი ემოციებითა და შეგრძნებებით დატვირთულ სამყაროში.

ლექსის დასაწყისში აღწერილია სიმბოლური წესრიგისაგან მონყვეტილი ემოციური ცხოველთა სამყარო, რომელსაც შეუძლია ბუნებრივი იყოს, რადგან ცხოველთა სამყაროში ენას ემოციების გასაზიარებლად არ იყენებენ, ამისათვის „ყნოსვა“ საკმარისია:

ჭიამაია გრძნობს სასურველს ყნოსვით შორიდან;  
მეც რომ მქონოდა მისი ალლო, ვიგრძნობდი უმალ....  
(Bachmann 2010:141)<sup>1</sup>

ცხოველთა იდილიური სამყაროს ფონზე კონტრასტულად იკვეთება „გახლეჩილი“ ლირიკული სუბიექტი, რომელიც ისტერიულია – ხან იცინის, ხან ტირის. ისტერია ტიპურ ქალურ დაავადებად არის აღქმული<sup>2</sup>. ისტერიის ერთ-ერთ მთავარ სიმპტომად ენის დისორგანიზაცია არის დასახელებული, როცა ქალს არ შეუძლია საკუთარი იდენტობის აგება ენის დეფიციტის გამო. ბახმანის ლექსს რეფრენად გასდევს: „ამიხსენი, სიყვარულო“ (Erklär mir, Liebe!), აღნიშნული რეფრენით ხაზი ესმება პროტაგონისტის ენაში დაკარგვას და გაუცხოებას:

წყალმაც კი ენა ამოიღდა,  
ტალღამ ჩაჰკიდა ტალღას ხელი.  
(Bachmann 2010: 141)<sup>3</sup>

ინგებორგ ბახმანი ფრანკფურტში წაკითხულ ლექციებშიც ჩივის ენაში არსებული საზღვრის გამო, რომელიც ძირითად პრობლემას წარმოადგენს შემოქმედისთვის. ენა ბახმანისათვის არ არის ცხადი მოვლენა, რადგან საზღვარი ენაში ყველაფერს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს, მასში ავტორი იმ სამყაროს გულისხმობს, რომელიც მხოლოდ ენის საშუალებით იჭრება ჩვენს აღქმაში. რადიოესეში „ლუდვიგ ვითგენშტაინის თქმადი და უთქმადი ფილოსოფია“ ბახმანი ფილოსოფოსს ათქმევინებს: „ ჩემი სამყაროს საზღვარი ჩემი ენის საზღვარს ნიშნავს იმიტომ, რომ ჩვენ მხოლოდ იქამდე ვალწევთ, სადამდეც ჩვენი ენა აღწევს (Bachmann 2010: 9).

ლექსში „სიყვარულო, გამანდე!“ ლირიკულ მეს სურს, გადალახოს ენის საზღვრები, ამაზე მიგვითითებს ლექსში გამოყენებული განყენებული სტრიქონები, რომლებიც ლირიკული მეს ერთგვარი პროტესტის ფორმად წარმოჩნდება: 1. „ასე გულდინჯად ლოკოკინა ტოვებს ნიჟარას!“<sup>4</sup> 2. „ქვამაც კი იცის, ქვა რით მოაღბოს!“<sup>5</sup>

---

1 Der Käfer reicht die Herrlichste von weit  
Hätt ich nur seinen Sinn, ich fühlte auch

2 ზიგმუნდ ფროიდის დაკვირვება მის პაციენტ დორაზე

3 Wasser weiß zu reden,

Die Welle nimmt die Welle an der Hand

4 So arglos tritt die Schencke aus dem Haus

5 Ein Stein weiß eninen andern zu erweichen!

იმისათვის, რათა ენა უტოპიად, მშვენიერებად იქცეს, ლირიკული მე-  
ენის სისტემის შეცვლას კი არ ცდილობს, არამედ მისი გამოყენების ფორმათა  
შეცვლისკენ ილტვის:

ეს უმძიმესი მოკლე ხანი ფიქრს შევალთ,  
ალარ შევიგრძნო სიყვარული და აღარც გავცე?<sup>1</sup>  
(Bachmann 2010:143)

ავტორი დასახელებულ სტროფში რიტორიკულ ფიგურას იყენებს და  
კითხვითი წინადადებით სტილისტურ ტრიუკს მიმართავს იმის საჩვენებლად,  
რომ ჩვენ კითხვაზე პასუხს ჭეშმარიტებისა და ერთმნიშვნელოვნების დად-  
გენის გარეშე შეიძლება მივუახლოვდეთ, ერთმა ჭეშმარიტებამ შეიძლება მე-  
ორეზე მიგვითითოს.

ლექსის დასასრულს ტექსტში იმპლიციტური დიალოგი ჩნდება, ამაზე  
მეტყველებს ლირიკული მეს პასუხი სიყვარულისადმი: მას არ სჭირდება ახს-  
ნა და განმარტება, რადგან სალამანდრას მაგალითით ასკვნის, რომ საზღ-  
ვრის გადალახვა მაინც არის შესაძლებელი, თავად საზღვრის არსებობა ამის  
დასტურია:

ნუ, ნუ ამიხსნი. ვიცი და ვხედავ, რომ სალამანდრა  
ყოველნაირ ცეცხლს გადალახავს.<sup>2</sup>  
(Bachmann 2010: 143)

ცნებების მრავალმნიშვნელობასა და ენის პარადოქსულობაზე წუხს  
ლირიკული მე ინგებორგ ბახმანის ლექსში „გაუცხოება“ („Entfremdung“). ლექ-  
სის დასაწყისშივე ლირიკული მეს დაბნეულობას გამოხატავს შემდეგი ანაფო-  
რა: ხეები-ხეები (Bäume –Bäume) (ბახმანი 2010: 233), რითაც ცნებების ერთმ-  
ნიშვნელოვნების შეუძლებლობასა და ენის უძღურებას გამოხატავს. „ხეებში  
ხეებს“ ვერ ხედავს ლირიკული მე, მაგრამ მაინც იძულებულია მათ „ხეები“  
უნოდოს. პატრიარქალურ/სიმბოლურ სამყაროში ქალურობას გამოსავლად  
მასკარადი, ისტერია, მიმეზისი რჩება, რომლებიც პატრიარქალური დისკურ-  
სის დეკონსტრუქციას ახდენს, თუმცა დასახელებული ფორმები ქალებს სა-  
კუთარ ადგილს ვერ აპოვნინებს, რადგან მიმეზისი, ისტერია და მასკარადიც  
ისევ იმ ცნებას აჯაჭვებს, რომლის დამსხვრევეაც სურდათ. მიჯაჭვულობით  
გამონვეულ ტკივილს ლექსში გამოხატავს ე.წ „ჩარჩო ფრაზა“ : „რა უნდა მოხ-  
დეს ამაზე მეტი?“<sup>3</sup> (Bachmann 2010: 233).

1 Sollt ich die kurze schauerliche Zeit  
Nur mit Gedanken Umgang haben und allein nichts Liebes kennen  
Und nichts Liebes tun?

2 Erklär mir nichts. Ich seh den Salamander  
Durch jedes Feuer gehen.

3 Was soll nur werden?



ლირიკული მე საკუთარი მდგომარეობის ასაღწერად შემდეგ ბინარულ ოპოზიციას იყენებს: გამაძლარი-მშიერი (satt-hungrig) (232), ბინარული ოპოზიციის დასახელებულ ელემენტებში იერარქია დარღვეულია, რადგან „შიმშილი“ ლირიკული მეს ბუნებრივი მდგომარეობაა და მის მოსაკლავად ღამეს მიმართავს, ღამე ლექსში არაცნობიერთან/საწყისთან ასოცირდება და კითხვით: „და ამ ყველაფერს კვლავაც უნდა მივუახლოვდე?“,<sup>1</sup>(233) ნათელი ხდება, რომ ეს არაერთხელ გაუკეთებია, მაგრამ მიუხედავად ამისა განყენებულ სტრიქონში ანაფორის: გზა-გზა (Weg-Weg) (233) გამოყენებით ასკენის, რომ გზა არ არის: „მე ვერც ერთ გზაში გზას ვეღარ ვხედავ“<sup>2</sup>(233).

ინგებორგ ბახმანი ლექსში „რა სახელი უნდა დავირქვა?“ (Wie soll ich mich nennen?) ბინარული ოპოზიციების გადაღახვას ცდილობს, რადგან გადაღახვამ შესაძლებელია მას თავი შეაცნობინოს: ფესვგადგმული-თავისუფალი (gebunden-frei), უდრეკი-მფრთხალი (harter-flüchtendes), დასაწყისი-დასასრული (Beginnen-Enden), დაფლული-აღმოცენებული (gefesselt-entließ):

თუმც, ჩემში კვლავ მღერის ერთი დასაწყისი,  
ანდა დასასრული-გაქცევას-რომ მიშლის.  
ცოდვის ამ ისარს მსურს თავი დავაღწიო.<sup>3</sup>

(Bachmann 2010: 247)

ლირიკულ მეში ქალური მღერის ცნება „მღერა“ წინაენობრივ პერიოდზე მიგვიბრუნებს, როდესაც ქალი დედასთან არის იდენტიფიცირებული, სანამ სიმბოლურ წესრიგში გადანაცვლებას აიძულებს კულტურა. პატრიარქალური სამყარო/ცნობიერი არ აძლევს უკან/საწყისთან დაბრუნების საშუალებას, რაც იწვევს ლირიკული/ქალური მეს თვითიდენტიფიკაციის პრობლემას. ჟაკ დერიდა წიგნში „გრამატოლოგია“ მსჯელობს არქივალადობაზე (archiviolence) კლოდ ლევი-სტროსის ანთროპოლოგიური დაკვირვების საფუძველზე, რომელსაც დერიდა წერის/წაწერის კონტექსტში განიხილავს. წერა, თავის მხრივ, გულისხმობდა ძალადობას, რადგან მას ავტორი ვერ აკონტროლებს და ხელიდან ეცლება განსხვავებით ორალური „ლოგოსისაგან“, ამ უკანასკნელს მოლაპარაკე ქმნის და მისი მნიშვნელობა შეიძლება განიმარტოს ადრესანტის მიერ, წერა კი წარმოქმნის დისტანციას მის სუბიექტს (ავტორს) და ობიექტს (ტექსტს) შორის. როცა შეტყობინება რეციფიენტამდე მიდის, ის უკვე აწმყო აღარ არის. მაშინვე, როგორც კი, თქმული/გამოთქმა დაწერილ სიტყვებში შეიჭრება, ის მის პროდუცერს კლავს. დერიდა წერის მახასიათებლად იყენებს სიტყვას „თხევადი“ (liquid): “the pharmakon always penetrates like liquid, it is absorbed, drunk, introduced into the inside, which it first marks with the hardness of

1 Sol lich mich aufmachen, mich allem wieder nähern?

2 Ich kann in keinem Weg mehr einen Weg sehen

3 Aber in mir singt noch ein Beginnen

-oder ein Enden-und wehrt meiner Flucht,  
ich will dem Pfeil dieser Schuld entinnen.

the type, soon to invade it and inundate it with its medicine, its brew, its drink, its potion, its poison” (Derrida 1981: 152). თხევადი არის ნანერის მახასიათებელი, რადგან ავტორის არარსებობის შემთხვევაში წერა ერთი მკითხველიდან მეორესთან მიედინება, როგორც სითხე და, შედეგად, ნანერის იდენტობა არ არის ნათელი და ერთმნიშვნელოვანი. სუბიექტის უარყოფით მკითხველი ავტორის ინტენციას შორდება. სახელდება არის პირველი არქინერის პროცესი. ინდივიდს ერქმევა კონკრეტული სახელი იმისათვის, რომ მეორე ინდივიდისაგან გაიმიჯნოს, თუმცა ეს შეუძლებელია, რადგან ერთი სიტყვა პიროვნების ყველა მახასიათებელს, მის უნიკალურობას ვერ მოიცავს.

ლირიკულ მეს არ უნდა ახალი ენის ძიება: „სხვა ენას არ ვეძებ“, თუმცა ამ განცხადებასთან ერთად სიტყვებით გამიზნულად თამაშობს: „თავი როგორ შევიცნო?“ – „ოდესმე შევიცნობ თავს“<sup>1</sup>. თავის შეცნობის წინაპირობად თვითგამოხატვის სიტყვის/სიტყვების პოვნაა საჭირო, რომელსაც სიმბოლურ ნესრიგში ვერ აგნებს.

კულტურულ/პატრიარქალურ სამყაროში წარმოქმნილ წინააღმდეგობებზე არაერთი ლირიკული ლექსი გვხვდება ქართველი პოეტი ლია სტურუას შემოქმედებაში. ლექსში „მიმართეთ ექიმს“ ლირიკული მე ცივილიზებულ/პატრიარქალურ სამყაროში ქალური იდენტობის კონსტრუირების სირთულეზე მსჯელობს. ლირიკული მე სტუმრად აცხადებს თავს ამ სამყაროში, რადგან არაფერი აქვს თვითმყოფადი:

აღარაფერი მაქვს გასახდელი,  
თავაზიანი ღიმილით მხდის კანს  
ვრჩები: ჩვილი ბავშვების ზვინი  
თუ სამშობიარო სახლი.

(სტურუა 2016: 104)

ერთადერთი ფუნქცია, რომელიც ქალს შესათვისებლად მოეთხოვება, რეპროდუქციის უნარის გამოყენებაა. სიმონ დე ბოვუარის მიხედვით, გოგონებს პატრიარქალურ სამყაროში ბინარული ოპოზიციებით ზრდიან, როგორებიცაა: გარყვნილი-პატიოსანი, ევა-მარიამი, მედეა-ივდიითი და ასწავლიდნენ, რომ შესაძლებლობა ჰქონდათ ერთ-ერთს დამსგავსებოდნენ, თუმცა საზომად „ნორმალურობის“ სტანდარტს აძლევდნენ (Beauvoir 1968: 10). ლექსშიც ნათელი ხდება, რომ ლირიკული მესთვის ცნობილია, ნორმალურობის მახასიათებლების შესახებ, მან დავალება უნდა შეასრულოს და მამაკაცთა შიმშების პროექტორი უნდა გახდეს:

რამდენ ხანს იფრიალებდნენ,  
სისხლით ყდა რომ არ გავუმაგრო?

(სტურუა 2016: 104)

<sup>1</sup> Wie halt ich mich?-Vielleicht kann ich mich einmal erkennen

---

ანაფორების: „სისხლი-სისხლი“, „როდის-როდის-როდის“ (104) გამოყენებით ავტორს ისტერიული ტონი შემოაქვს ტექსტში, რითაც ნაჩვენებია, თუ როგორ ცდილობს *ლირიკული მე* საკუთარი ცხოვრების, ენის, სადავეები ხელში აილოს:

ეს ჩემი სისხლია და მე ვიცი,  
როდის გამოვიყენო, როდის გვერდზე გავწიო  
და როდის: „ტკივილმა თუ არ გამიარა,  
მივმართო ექიმს!

(სტურუა 2016: 104)

ციტატების – „ტკივილმა თუ არ გამიარა მივმართო ექიმს!“ და „საერთო ინტოქსიკაცია“ – ტექსტში ჩართვით ავტორი ხაზს უსვამს ქალის მიკუთვნებულ ადგილს პატრიარქალურ სამყაროში: ქალი თუ „ნორმალურობის“ მახასიათებლებს სცდება, ისტერიულია (ექიმს საჭიროებს), მის საერთო მდგომარეობად კი მთელი სხეულის ინტოქსიკაციაა დასახელებული. ზიგმუნდ ფროიდისა და ბროიერის მიხედვით, ისტერიული დაავადება ემოციური არამდგრადობა, ფსიქიკური ტრავმაა. ისტერიული ქალები იტანჯებიან მოგონებებით (*reminisce-sich erinnern*) (Freud, Breuer 1991:31). მტკივნეული მოგონებები აკუმულირებული სიმპტომებით ნაცვლდება, რომლებიც განცდილ არაცნობიერს აარქივებს და ყოველ ჯერზე ახლად ინსცენირდება. ძლიერი სიმპტომები მაშინ წარმოიშვება, როდესაც გამოცდილება გრძნობების ძლიერ ცვლილებებს იწვევს, ცვლილების საფუძველი კი შინაგანი წინააღმდეგობებია, კონფლიქტები მესა და გრძნობებს შორის (Lindhoff 2003: 140). ლია სტურუას ლექსის *ლირიკული მეც* ისტერიით იტანჯება: საკუთარი გრძნობების/მეტაფორების ეშინია, მეტაფორები *ლირიკულ მეს* ისევ არაცნობიერთან აბრუნებს და მასში იწვევს შინაგან კონფლიქტებს, რაც საკუთარი სხეულის დაზიანების საფრთხით შეიძლება გამოიხატოს:

მეტაფორა ლურსმნების ხაზით მუშაობს,  
რომ შევეხო, დამასახიჩრებს.

(სტურუა 2016: 105)

*ლირიკული/ქალური მეს* თვითგანადგურების შიში ჩნდება ლია სტურუას ლექსში „სიყვარული?!“. ნაწერს/სიტყვებს თუ ამოფრქვევის საშუალებას მისცემს ქალური ხმა, ის მას კვლავ „დასახიჩრებით“ ემუქრება. ენა ოიდიპურ ფაზაში გადასვლის შემდეგ „ჩარჩოში“ მოქცევით ხასიათდება. *ლირიკული მე* სიტყვებს ცეცხლს ადარებს, რომლის ჩარჩოში მოქცევისკენ ისწრაფვის სიმბოლური წესრიგი, მწველი სიტყვების ჩარჩოში მოთავსება დროებითია და ის ყოველდღიურ საფრთხეს წარმოადგენს მოპოვებული წესრიგისათვის. ლია სტურუას ტექსტის პირველ ნაწილში აღწერილი სამყარო შეიცავს პატრიარქალურ ნიშნებს:

ომები, ბავშვები,  
ემოციები ზენა და ქვენა,  
შუაში ეკლესია, ან კლასიკური ლიტერატურა.  
(სტურუა 2016: 102)

დასახელებულ მონაკვეთში აღწერილი სამყარო მამაკაცების პროდუქტია, არგუმენტად კი ფემინისტურ კვლევებში სახელდება ის ფაქტი, რომ ქალებს არ შეუქმნიათ მითოსი, რელიგია, ისტორია, პოეზია, მეტიც, როდესაც ოცნებობენ, ოცნებებიც კი მამაკაცთა ოცნებებით განისაზღვრება (Beavoir 1968, 155), შესაბამისად, ეკლესია, ომები, ბავშვები (ბავშვი მამის გვარს ატარებს და ამით კულტურა აშორებს მას დედას) პატრიარქალური წესრიგის მთავარი იარაღია.

ღია სტურუა ლექსში აჩვენებს პატრიარქალურ სამყაროში ქალის თვითგამოხატვისა და არსებობის ორგვარ შესაძლებლობას:

1. ქალს შეუძლია მოერგოს პატრიარქალურ სამყაროს წესებს და საკუთარი ენა სიმბოლურ ენას დაუმორჩილოს, რითაც ხილული გახდება ისტორიულ რეალობაში:

თუ მოარგე  
და ერთი ღერი ასანთიც აუნთე,  
ისეთი რომანი დამემხობა თავზე.  
(სტურუა 2016: 102)

2. დაუპირისპირდეს დამკვიდრებულ ენობრივ ნორმებს და „სქესის სიანჩხლე გაცვეთილ სიტყვებში“ არ დაკარგოს, რითაც ახალი ქალური იდენტობის აგებას შეძლებს.

ჟაკ დერიდა წიგნის „დისემინაცია“ (La Dissémination-ფრანგ, Dissemination – ინგ.) შემდეგი სახელწოდების თავში: “Plato’s Pharmacy” (პლატონის ფარმაცია) დიქოტომიური იერარქიის დეკონსტრუქციას მიმართავს. ის ცდილობს, დაძლიოს იერარქია იმ არგუმენტით, რომ ერთი მნიშვნელობა/ღირებულება შეიცავს სხვა, მეორე დამორჩილებული მნიშვნელობის ელემენტს. „პლატონის ფარმაციის“ დეკონსტრუქციით ის მიდის იმ დასკვნამდე, რომ წერა ფარმაციის მსგავსია, რომელსაც ორგვარი ეფექტი აქვს: მას შეუძლია განკურნოს დაავადება და ამასთანავე გაამძაფროს იგი. სიტყვების „მკურნალისა“ და „საწამლავის“ ამბივალენტური გაერთიანება საფუძველს ფარმაციის ძველ ცერემონიაში იღებს.

ათენში ფარმაკოს (pharmakos) ცერემონია უბედურებისა და უიღბლობის შემდეგ იმართებოდა. ის მიემართებოდა განტევების ვაცს, გაუკონტროლებელ ბოროტებას, რომელიც ქალაქიდან უნდა გაძევებულიყო (Derrida 1981: 130). აღნიშნული პრაქტიკა ათენში მე-5 საუკუნემდე გვხვდება. ცერემონიისთვის არჩეული მსხვერპლი (განტევების ვაცი) ამბივალენტური მნიშვნელობის მატარებელი იყო: ის (ბოროტება) საწამლავი იყო, რომელიც ქალაქს უნდა გასცლოდა, რადგან ათენის მცხოვრებლებს სჯეროდათ, რომ მას უბედურება

ჰქონდა შეშისხლხორცებული და, მეორე მხრივ, ის წამლად ევლინებოდა ქალაქს.

ლია სტურუას ლექსშიც *ლირიკული მე* ანალიზებს, რომ სიტყვებმა ის შეიძლება დაასახიჩროს და გაანადგუროს, მაგრამ, თუ სიტყვებს არაცნობიერიდან არ ააჟღერებს, რაც მათი გათავისუფლებით შესაძლებელი გახდება „ძილის ქვედა შრიდან, ყველაზე ბნელიდან“ (102), მას სხვა ახალი საფრთხე ემუქრება – გაქრობა. ლექსის ბოლოს *ლირიკული მე* საკუთარ თავს შეკითხვას უსვამს: „კიდევ შეგიძლია?“ განუსაზღვრელი შეკითხვის დასმით ავტორი ქალურობის შემოსაზღვრულობასა და თვითგანსაზღვრის პრობლემას გადაუჭრელს ტოვებს.

## დასკვნა

ინგებორგ ბახმანისა და ლია სტურუას ლირიკული ნიმუშების ანალიზმა პოსტსტრუქტურალიზმის კონტექსტში გამოკვეთა სიმბოლურ წესრიგში დატყვევებული ქალურობის თვითიდენტიფიკაციის პრობლემა. ორივე ავტორი სტატიაში განხილულ ლექსებში მსჯელობს ენის სირთულეებზე, რომელსაც არ შეუძლია გრძობების, შინაგანი კონფლიქტების ადეკვატურად გადმოცემა, შედეგად ჩნდება თვითგაუცხოება და იდენტობის განსაზღვრის სირთულეები. წინამდებარე სტატიაში ლექსების ინტერპრეტაციამ ნათელი გახადა ის, რომ ქალურობის რეპრეზენტაცია და ხილვადობა მხოლოდ მაშინ მოხერხდება, თუ დაიძლევა მამაკაცური შემქნელობისა და ქალური თვითგაქრობის შიში და გადაილახება სიმბოლური წესრიგის/მითოსის მიერ დადგენილი ქალური იდენტობა. მართალია, ინგებორგ ბახმანისა და ლია სტურუას ლექსებში ვერ ახერხებს *ლირიკული მე* ახალი/ ქალური იდენტობის კონსტრუირებას, მაგრამ ჩნდება საშუალების ძიების მცდელობა, თუ როგორ მიაღწიონ ახალ სუბიექტურობას – არ უნდა იყვნენ არც სიმბოლური წესრიგის და არც საკუთარი თავის მსხვერპლები და ისტერიულობასთან ერთად ემანსიპირებული, თვითმყოფადი არსებობა აღიარონ.

## დამონმებანი:

- Bachmann, Ingeborg. *Sämtliche Gedichte*. München, Zürich: Piper, 2010.
- Beauvoir, Simone de. *Das andere Geschlecht. Sitte und Sexus der Frau*. Hamburg, 1968.
- Brüggemann, Margaret. “Weiblichkeit im Spiel der Sprache in: *Schreibende Frauen, Frauen-Literatur-Geschichte vom Mittelalter bis zur Gegenwart*. Gnüg, Hiltrud & Renate Möhrmann (eds). Suhrkamp Taschenbuch 1603, 1989.
- Derida, Jacques. *Dissemination*. Translated: Barbara Johnson. Chicago: The University of Chicago Press, 1981.
- Derrida, Jacques. *Grammatologie*. Trans: Hans-Jörg Rheinberger & Hanns Zischler. Frankfurt am Main: Suhrkamp Verlag, 1983.

- Kristeva, Julia. *The Kristeva Reader*. Ed. Toril Moi. Oxford, 1986.
- Lindhoff, Lena. *Einführung in die feministische Literaturtheorie*. Stuttgart: Metzler, 2003.
- Me-20 Sauk'unis Avst'riuli Lirik'a* – Österreichische Lyrik des 20. Jahrhunderts. Ingeborg Bachmann. Tbilisi: gamomtsemloba "p'olilogi", 2010 (*მე-20 საუკუნის ავსტრიული ლირიკა* – Österreichische Lyrik des 20. Jahrhunderts. ინგებორგ ბახმანი . თბილისი: გამომცემლობა „პოლილოგი“ – Tbilissi: Polylogi Verlag, 2010).
- Müller-Zettelmann, Eva. *Lyrik und Metalyrik. Beiträge zur neueren Literaturgeschichte*. Band 171. Heidelberg, 2000.
- Nünning, Ansgar & Vera Nünning (eds). *Erzähltextanalyse und Gender Studies*. Weimar: Verlag J.B. Metzler Stuttgart, 2002.
- Sexl, Martin (Hg). *Einführung in die Litearturtheorie*. Wien: Facultas Verlags- und Buchhandels AG. 88-91, 2004.
- St'urua, Lia. *Mglis Saati*. Tbilisi: gamomtsemloba "int'elekt'i", 2016. (სტურუა, ლია. მგლის საათი. თბილისი: გამომცემლობა ინტელექტი, 2016).
- Weber, Ingeborg (ed). *Weiblichkeit und weibliches Schreiben*. Darmstadt: Wissenschaftliche Buchgesellschaft, 1994.

**Salome Pataridze**  
(Georgia)

## **Problems of Feminine Language and Self-representation in Poetic Texts of Ingeborg Bachmann and Lia Sturua<sup>1</sup>**

### **Summary**

**Key words:** Post-Structuralism, dichotomy, feminine writing, identity.

Feminist theories mainly take the initial from the idea that there exists an established identity expressing the category of “woman”. The identity shall create the subject that may be politically and historically represented. The concept “representation” has two functions in this case: on the one hand it gives more public visibility and legitimacy to the woman as a subject, and on the other hand, the representation is considered to be a normative function of the language either revealing or distorting the category of woman. Feminist theories/literary studies often see the creation of such language as the main need for the full and adequate representation achieving the public visibility of women (establishment as the subject). This article analyzes some lyrical works of Austrian Ingeborg Bachmann and Georgian Lia Sturua from the perspective of post-structuralism, namely,

---

<sup>1</sup> This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation (SRNSF) (PHDF-18-2163, Specific Features of Feminine Narrative in German and Georgian Poetry of the Second Half of the 20th Century).

Jacques Derrida's concept of written language and its binary nature, Lacan's denial of the Woman's existence and the subject's shift to the symbolic order, also Julia Kristeva's, Luce Irigaray's, Hélène Cixous' ideas on problems of feminine language and self-representation in the patriarchal/symbolic order. The analysis of poems of Ingeborg Bachmann and Lia Sturua shall highlight specific features of feminine language and challenges to the self-representation of woman.

Poststructuralists argue that the subject is not free in the order of language and signs, as the subject itself does not create the order. In the universal order in its turn, characteristics are created which are not subject to discourse control. Writing is usually privileged over spoken words. Since written text cannot speak, it therefore allows interpretation, meaning that a text will not be the same in different contexts. The meaning of a lingual sign can be determined. However, as its meaning is different in different contexts, the author focuses on the endless game of signs. According to Derrida's view if the exact concept of linguistic signs is unlikely to be defined, an adequate reflection of the world is also doubtful.

Jacques Lacan considers that the father gives birth to the subject through language, while mother gives physical birth. The father, as understood by Lacan, implies the first prohibition. The first prohibition is incest and the conscious and unconscious emerge through entering the symbolic order. According to Lacan, there is no place for the woman in the symbolic order. Lacan claims that the woman does not exist, that she is in the pre-linguistic imagination and is identified with her mother. For Lacan, feminine is connected with passion and it always threatens a symbolic order as it is unconscious and seduces the man.

The French feminist and theoretician argues that the task of the female is to adopt masculine sexuality and imagination while being alienated from her own imagination and sexuality. In order for a hierarchical system of values, such as: light-dark, one-many, etc., in which a woman is identified with her subordinate, to be overcome, the above-mentioned hierarchy must be inverted which will be a prerequisite for a female to be shown as a subject.

According to Hélène Cixous, in a symbolic, patriarchal order, women must resort to self-discovery, which means first of all finding their own, original language and, consequently, finding a place to belong. According to the theorist, language can be found in the pre-Oedipal imagination as it is the pre-Oedipal where feminine language can be found. Writing allows the woman to find the self and therefore, identity, and it allows her to overcome the state of silence and paly with words thus changing meanings to words and foregrounds the unconscious.

Julia Kristeva discusses the coexistence of semiotic and symbolic in the language and considers the semiotic in connection with the female and the symbolic in connection with the male. In the pre-Oedipal phase, voice, sound is not structured, and through the transition to the pre-Oedipal phase the utterance acquires meaning under the influence of

grammar, syntax, and conventions. In the symbolic order, however, it is very difficult for the woman to find her identity, as she either withdraws from the order or is only left with the choice to unite with it.

In this article poems („Wie soll ich mich nennen?“, „Entfremdung“, „Erklär mir, Liebe!“) of Austrian German language female author Ingeborg Bachmann and poems (“Call your doctor”, “Love?!”) of Georgian poet Lia Sturua are analyzed.

Ingeborg Bachmann complains about the limits of language that make language ambiguous and that present some difficulty for the poet, since it is impossible to go beyond the limits through language. In the poem „Erklär mir, Liebe!“ (“Tell me, Love”) the lyrical I has two options for changing the language and making it beautiful: either it has to change the language, or employ individual forms of use. The lyrical I chooses the latter. The poet gives her opinion that unanimity is not a prerequisite for finding the truth and that one truth may point to the other. The existence of the limits somehow indicates that they might be overcome that the lyrical I does not believe. The lyrical I from the poem of Ingeborg Bachmann “Alienation” thinks it impossible for concepts to be monosemantic. The impossibility of monosemy in language makes the lyrical I to consider the powerlessness of language. The problem of self-identity is highlighted in the third poem of the Austrian author analyzed in this research. The problem of self-identity is raised in the complaint of the lyrical I that one part of her cannot cease singing and, therefore, leave the pre-Oedipal. Though the masculinized culture forces her to leave the pre-Oedipal and shift to the symbolic order.

In her poem “Call the doctor”, Georgian poet Lia Sturua describes the problem of the construction of feminine identity which is caused by the patriarchal culture. This quest for identity is difficult for the lyrical I as it carries the features ascribed to her by the patriarchal culture and therefore, it is not easy for her to separate the original from the acquired. Lia Sturua’s poem clearly shows problems caused by the crisis of self-identity crisis, leading to hysteria, and hysteria is perceived as a female disease. In the poem “Love?!”, the lyrical I is seized with the fear of words, since in the pre-Oedipal phase (culture) free play with words equals self-destruction and with Lia Sturua, we find two options, the choice between which is difficult.

The analysis of the texts shows clearly difficulties women encounter in search for identity in the patriarchal order, as women live in the world where she has created neither language, nor culture and it is difficult for her to find her original place.